

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„G&A GROUP”

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2019

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „G&A GROUP“

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა-----	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა-----	5
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	11
საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება-----	13
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება-----	15
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება-----	17
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები-----	19-37
მმართველობის ანგარიშგება-----	38-43

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2019 წლის 5 დეკემბერს

დირექტორი

ფინ.დეპარტამენტის უფროსი

ვლადიმერ უგულავა

დარეჯან სინჯიკაშვილი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2019 წლის 5 დეკემბერს

დირექტორი

ფინ.დეპარტამენტის უფროსი

ვლადიმერ უგულავა

დარეჯან სინჯიკაშვილი





www.lauditi.ge

შპს სააუდიტორო ფირმა „ბუღალტერ-ექსპერტი“

ქ. თბილისი, ფალიაშვილის 32 ტელ: 2222011 5995744 ელ.მისამართი eksauditi@gmail.com ვებგვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „G&A GROUP“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „G&A GROUP“-ის (შემდგომში - „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების ანგარიშგებისაგან, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისაგან 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „G&A GROUP“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მის ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

იმის გამო, რომ ხელშეკრულება ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გაფორმდა 2019 წლის 1 აგვისტოს, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით მარაგების ინვენტარიზაციას 2018 წლის ბოლოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აუცილებელი იყო თუ არა რაოდენობრივი ან/და თვისობრივი მდგომარეობის თვალსაზრისით მომხდარიყო რაიმე სახის კორექტირება.

კომპანიამ მარაგის სრული ინვენტარიზაცია ჩაატარა 2018 წლის აგვისტოში, აუდიტორული კომპანიის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე (წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების პერიოდში) რის შედეგად გამოვლინდა დიდი ოდენობით მარაგის დანაკლისი - 556 ათასი ლარი (თვითღირებულებით) და ჩამოსაწერი ან ჩამოსაფასებელი საქონელი - 272 ათასი ლარი, რაც მიუთითებს კომპანიას მხრიდან მარაგების აღრიცხვის სუსტ კონტროლზე გასულ წლებში. ამასთან, კომპანიის მიერ ვერ მოხერხდა შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების დადგენა და ზარალის ანაზღაურება.

შვილობილი კომპანია შპს „ჯი ენდ ეი ლოჯისტიკს სერვის“-ის საბანკო ანგარიშიდან გასულ 31533 ლარზე ვერ იქნა წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”- ნაწილში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები - გადაფასება

ძირითადი საშუალებები, რომელთა რეალური ღირებულება მკვეთრად განსხვავდებოდა, წინა პერიოდების ანგარიშგებებში ასახული ღირებულებისაგან, გადაფასდა და ნამეტმა ღირებულებამ (ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი) შეადგინა 12 304 654 ლარი. ამ საკითხს დასკვნის მოდიფიცირებაზე გავლენა არ მოუხდენია.

სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება)

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7-ე მუხლის მე-10-ე პუნქტის საფუძველზე, მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს, რომელიც გამოთქვამს თავის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების შესახებ, აღნიშნული მუხლის მე-6-ე პუნქტის მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობის თაობაზე (ავღნიშნავთ, რომ კანონის მე-7-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები კომპანიას არ ეხება).

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობის ანგარიშგების გაცნობას და იმის განსაზღვრას შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში არის თუ არა აღნიშნული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული. ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობის ანგარიშგების შესახებ.

ჩვენ გავეცანით და განვიხილეთ თანდართული მმართველობის ანგარიშგება და განვმარტავთ:

მმართველობის ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღები ერთმანეთს ემთხვევა.

მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება ანუ ადგილი აქვს აღნიშნული ანგარიშგებების თანხვედრილობას.

ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამობა, რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად განსაზღვრული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის), ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიას ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიას ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან

თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიას ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის

გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ვლადიმერ სიხარულიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-412208)

შპს სააუდიტორო ფირმა „ბუღალტერ-ექსპერტის“ სახელით

დირექტორი (გარიგების პარტნიორი)

თბილისი, საქართველო 5 დეკემბერი 2019 წელი

გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ვლადიმერ სიხარულიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-412208)

შპს სააუდიტორო ფირმა „ბუღალტერ-ექსპერტის“ სახელით

დირექტორი (გარიგების პრეტენზი) *7 სი*

თბილისი, საქართველო 5 დეკემბერი 2019 წელი



შპს „G&A GROUP“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	194805	892428	793667
გადახდილი ავანსები	1423868	690869	1722492
მიმდინარე მარაგები	5132794	7578737	4104157
სავაჭრო მოთხოვნები	2762795	2628290	2506715
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი	105996		
სხვა საგადასახადო აქტივი	12610		
ბიოლოგიური აქტივები	15114		
სხვა მიმდინარე აქტივები	49256	44812	43164
სხვა გრძელვადიანი აქტივები	100		
სხვა არამატერიალური აქტივები	95283	80232	54834
ძირითადი საშუალებები	19895797	9873244	10472714
სულ აქტივები	29688418	21788612	19697743
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3878543	3801919	624853
საგადასახადო ვალდებულებები	685238	583704	583853
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	921620	3660712	1603636
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	18354396	17466848	18746117
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	143211	32574	2222
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4963679	1078895	1078895
სულ ვალდებულებები	28946687	26624652	22639576
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3479910	3479910	3479910
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	12304654		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(15042833)	(8315950)	(6421743)
სულ საკუთარი კაპიტალი	741731	(4836040)	(2941833)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	29688418	21788612	19697743

დირექტორი

ვლადიმერ უგულავა

ფინ.დეპარტამენტის უფროსი

დარეჯან სინჯიკაშვილი

5 დეკემბერი 2019 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

შპს „G&A GROUP“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	194805	892428	793667
გადახდილი ავანსები	1423868	690869	1722492
მიმდინარე მარაგები	5132794	7578737	4104157
სავაჭრო მოთხოვნები	2762795	2628290	2506715
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი	105996		
სხვა საგადასახადო აქტივი	12610		
ბიოლოგიური აქტივები	15114		
სხვა მიმდინარე აქტივები	49256	44812	43164
სხვა გრძელვადიანი აქტივები	100		
სხვა არამატერიალური აქტივები	95283	80232	54834
ძირითადი საშუალებები	19895797	9873244	10472714
სულ აქტივები	29688418	21788612	19697743
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3878543	3801919	624853
საგადასახადო ვალდებულებები	685238	583704	583853
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	921620	3660712	1603636
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	18354396	17466848	18746117
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	143211	32574	2222
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4963679	1078895	1078895
სულ ვალდებულებები	28946687	26624652	22639576
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3479910	3479910	3479910
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	12304654		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(15042833)	(8315950)	(6421743)
სულ საკუთარი კაპიტალი	741731	(4836040)	(2941833)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	29688418	21788612	19697743

დირექტორი

ვლადიმერ უგულავა

ფინ.დეპარტამენტის უფროსი

დარეჯან სინჯიკაშვილი

5 დეკემბერი 2019 წელი
ქ. თბილისი, საქართველო



შპს „G&A GROUP“

კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	2018 წელი	2017 წელი
ამონაგები	28513407	35143145
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(23252177)	(30072016)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(429310)	(422415)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(48750)	
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(3439957)	(2207685)
საკონსულტაციო ხარჯი	(8994)	(10087)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(264288)	(109483)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	(11123)	(6953)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(591423)	(558356)
იჯარის ხარჯი	(42704)	(109780)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(334956)	(392227)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1070091)	(269032)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(2041722)	(2541278)
საოპერაციო მოგება	(3022087)	(1556167)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	(41280)	(29842)
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან	(1864482)	0
სხვა ფინანსური შემოსავალი	324201	459942
სხვა ფინანსური ხარჯი	(2123235)	(1217218)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)		449078
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(6726883)	(1894207)
მოგება/(ზარალი)	(6726883)	(1894207)
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(6726883)	(1894207)

დირექტორი

ვლადიმერ უგულავა

ფინ.დეპარტამენტის უფროსი

დარეჯან სინჯიკაშვილი

5 დეკემბერი 2019 წელი

ქ. თბილისი, საქართველო


შპს „G&A GROUP“

კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	2018 წელი	2017 წელი
ამონაგები	28513407	35143145
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(23252177)	(30072016)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(429310)	(422415)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(48750)	
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(3439957)	(2207685)
საკონსულტაციო ხარჯი	(8994)	(10087)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(264288)	(109483)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	(11123)	(6953)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(591423)	(558356)
იჯარის ხარჯი	(42704)	(109780)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(334956)	(392227)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1070091)	(269032)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(2041722)	(2541278)
საოპერაციო მოგება	(3022087)	(1556167)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	(41280)	(29842)
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან	(1864482)	0
სხვა ფინანსური შემოსავალი	324201	459942
სხვა ფინანსური ხარჯი	(2123235)	(1217218)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)		449078
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(6726883)	(1894207)
მოგება/(ზარალი)	(6726883)	(1894207)
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(6726883)	(1894207)

დირექტორი



ვლადიმერ უგულავა

ფინ.დეპარტამენტის უფროსი



დარეჯან სინჯიკაშვილი

5 დეკემბერი 2019 წელი
ქ. თბილისი, საქართველო



შპს „G&A GROUP“

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	2018 წელი	2017 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(348681)	626799
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(281549)	(486538)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(64997)	(36070)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(695227)	104191
სავალუტო კურსის ეფექტი	(2396)	(5430)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	892428	793667
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	194805	892428

დირექტორი

ვლადიმერ უგულავა

ფინ.დეპარტამენტის უფროსი

დარეჯან სინჯიკაშვილი

5 დეკემბერი 2019 წელი

ქ. თბილისი, საქართველო


შპს „G&A GROUP“

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	2018 წელი	2017 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(348681)	626799
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(281549)	(486538)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(64997)	(36070)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(695227)	104191
სავალუტო კურსის ეფექტი	(2396)	(5430)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	892428	793667
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	194805	892428

დირექტორი



ვლადიმერ უგულავა

ფინ.დეპარტამენტის უფროსი



დარეჯან სინჯიკაშვილი

5 დეკემბერი 2019 წელი
ქ. თბილისი, საქართველო



**კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

(1 ლარი)

დასახელება	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3479910	(6421743)		(2941833)
პერიოდის შედეგი		(1894208)		(1894208)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3479910	(8315951)		(4836040)
პერიოდის შედეგი		(6726883)	12304654	5577771
კაპიტალის ზრდა				
დივიდენდის გამოცხადება				
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3479910	(15042833)	12304654	741731

დირექტორი

ვლადიმერ უგულავა

ფინ.დეპარტამენტის უფროსი

დარეჯან სინჯიკაშვილი

5 დეკემბერი 2019 წელი

ქ. თბილისი, საქართველო


შპს „G&A GROUP“

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

დასახელება	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3479910	(6421743)		(2941833)
პერიოდის შედეგი		(1894208)		(1894208)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3479910	(8315951)		(4836040)
პერიოდის შედეგი		(6726883)	12304654	5577771
კაპიტალის ზრდა				
დივიდენდის გამოცხადება				
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3479910	(15042833)	12304654	741731

დირექტორი



ვლადიმერ უგულავა

ფინ.დებარტამენტის უფროსი

დარეჯან სინჯიკაშვილი

5 დეკემბერი 2019 წელი
ქ. თბილისი, საქართველო



2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „G&A GROUP“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2012 წლის 4 მაისს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 404943683. კომპანია დღგ-ის გადამხდელად დარეგისტრირდა 2012 წლის 7 მაისს. კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დემეტრე თავდადებულის ქ., №29. კომპანიის დირექტორია - ვლადიმერ უგულავა.

1.2. შპს „G&A GROUP“ რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. 2018 წლის 12 დეკემბრამდე დამფუძნებლები იყვნენ: 50%-წილით შპს „სოუდ ვესტ ჯუნიორი“ (ს/ნ 405190895), და ასევე 50%-ს წილით არაბთა გაერთიანებული საამიროების რეზიდენტი კომპანია IC20120464 „ბაკა ლიმიტედ“ („Baka Limited“). 2018 წლის 12 დეკემბრიდან 100% წილის მფლობელი არის ტურგაი ალაკბაროვი, აზერბაიჯანის მოქალაქე.

1.3. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია: ა)

მმართველი პარტნიორი;

ბ) დირექტორი.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის დირექტორი - ვლადიმერ უგულავა.

1.4. კომპანიას ჰყავს შვილობილი საწარმო:

2015 წლის 10 ნოემბერს კომპანიამ დააფუძნა 100% წილით შპს "ჯი ენდ ეი ლოჯისტიკს სერვისი" ს/ნ (405124477), დირექტორი - დონაძე ირაკლი, პ/ნ 01006007658, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დემეტრე

თავდადებულის ქუჩა, N 29.

1.5. კომპანიას ძირითადი ეკონომიკური საქმიანობები:

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, დასაწყობება და შენახვა, საბითუმო ვაჭრობა ხორციით და ხორცის პროდუქტებით, ხორცპროდუქტების და თევზის იმპორტი, ექსპორტი და ქვეყნის შიგნით დისტრიბუცია, სამაცივრე მეურნეობით მომსახურება, ნახევარფაბრიკატების წარმოება და დისტრიბუცია. ნახევარფაბრიკატების ექსპორტი, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

1.6. ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიას წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულოა. კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას 2016 წლიდან აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS ანუ „ფასს“-ები) მიხედვით.

2.2. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია

საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების „ფასს“-ებთან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია „ფასს“-ების ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიას 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიას მენეჯმენტის ფასს-ების გამოყენებით. ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი. **ფასს 1** „ფასს-ების პირველადი გამოყენება“ 21-ე მუხლის თანახმად, კომპანიამ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგინა საანგარიშო წლის წინა წლის (2017 წლის) შესადარისი ინფორმაცია და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რეტროსპექტულად გადაანგარიშდა საბუღალტრო ნაშთები 2016 წლის ბოლო (31 დეკემბრის) მდგომარეობით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და ინტერპრეტაციები.

2.5. კომპანიას მიერ 2017-2018 წლებში ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიას ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფასს-ების შესაბამისად. კომპანიას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების ანგარიშგებისაგან, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისაგან 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

კომპანიას სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები, დადებითი სავალუტო საკურსო სხვაობა, საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და თამასუქებიდან და სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის

ანგარიშგებაში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიას შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

სიდიდე განისაზღვრება კონსოლიდირებული თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 1 წელზე მეტი, ხდება მისი გაუფასურების აღიარება: როდესაც დებიტორთან თანხის მოძრაობა არ არის - 100%-ით, თუ არის თანხის მოძრაობა, მაგრამ ნაშთები არ იცვლება - 50%, ხოლო თუ არის თანხის მოძრაობა და მიმდინარე პერიოდის ნაშთებია მაშინ - 15%.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ დღიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/ საინვესტიციო ქონების გამოყენება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 5%;
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	- 20%;
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	-10%;
სატრანსპორტო საშუალებები, გარდა სპეციალური	
დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებებისა	- 20%;
კავშირგაბმულობის საშუალებები	-20%;
ოფისის აღჭურვილობა	- 20%;

კომპიუტერული ტექნიკა	- 25%
ავეჯი და ინვენტარი	- 20%;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 8% - 25%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ვ) ინვესტიცია შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიცია ასახულია თვითღირებულებით.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

ბასს 12 - „მოგებიდან გადასახადების“ მიხედვით, მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლება საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი

განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიას ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიას ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი ლარის) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766ლარი; 1 EUR=3.0701ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი 1 EUR=3.1044

2.9. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და ჯერ არ არის დანერგილი

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში

არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიას კონსოლიდირებული ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანიას ამ სტანდარტების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელოა, რომ ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“

ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის **ბასს 39** „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ სახელმძღვანელო მითითებებს და ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას, ფინანსური აქტივების გაუფასურების გაანგარიშებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალი მოდელისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი ზოგადი მოთხოვნების ჩათვლით. მას ასევე გადმოაქვს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტის სახელმძღვანელო მითითებები **ბასს 39**-დან. კომპანია აფასებს პოტენციურ ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ ამას არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიას საქმიანობის შედეგებზე.

ფასს 15 - „შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის შემოსავლების აღიარების არსებულ სახელმძღვანელო მითითებას, მათ შორის **ბასს 18** „შემოსავლები“, **ბასს 11** „სამშენებლო კონტრაქტები“ და **ფასიკ (IFRIC) 13** „კლიენტების მიმართ ლოიალურობის პროგრამები“ და ადგენს ყოვლისმომცველ ჩარჩოს იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად, რა რაოდენობით და როდის ხდება შემოსავლის აღიარება ხუთეტაპიანი მოდელის შემოღებით. წინასწარი შეფასებების საფუძველზე ამ შესწორებების და ინტერპრეტაციების მიღებას, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიას საქმიანობის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე თუ გამჟღავნებულ ინფორმაციაზე.

ფასს 16 - „იჯარა“

2015 წლის იანვარში, **ბასსს-მა** გამოუშვა **ფასს 16** „იჯარა“, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე

ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება. ფასს 16-ის გამოყენება შეიძლება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16 მოითხოვს, რომ მოიჯარეებმა იჯარები აღრიცხონ სტანდარტის ფარგლებში იმის ანალოგიურად, როგორც ამჟამად ხდება ფინანსური იჯარის აღრიცხვა ბასს 17-ის „იჯარა“ მიხედვით. მოიჯარეები აღიარებენ აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც ბასს 17 ითვალისწინებს. კომპანია არ მოელის ფასს 16-ის ვადაზე ადრე მიღებას და ამ ეტაპზე აფასებს ფასს 16-ის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.	01 იანვარი, 2017წ.
ნაღდი ფული საღაროში	11 304	24810	165 989
ნაღდი ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	183 501	867 618	627678
	194 805	892428	793667

3.2. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან:

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.	01 იანვარი, 2017წ.
ადგილობრივი დამკვეთები	4241544	3854726	3333336
არარეზიდენტი დამკვეთები	79 533	331 846	99 478
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(1 558 282)	(1 558 282)	(926 099)
	2 762 795	2 628 290	2 506 715

3.3. მარაგები

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.	01 იანვარი, 2017წ.
გასაყიდად გამიზნული საქონელი	4 655 271	7 279 992	3 883 231
ნედლეული	56 106	62 129	34 669
სხვა მარაგები	421 417	236 616	186 257
	5 132 794	7 578 737	4 104 157

3.4. სხვა მიმდინარე აქტივები

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.	01 იანვარი, 2017წ.
მოთხოვნები ანგარიშვალდებულ პირების მიმართ	1 639	2281	633
სხვა მიმდინარე აქტივები	47 617	42 531	42 531
	49 256	44 812	43164

3.5. ინვესტიციები შვილობილ საწარმოში

2015 წლის 10 ნოემბერს კომპანიამ დააფუძნა 100% წილით შპს "ჯი ენდ ეი ლოჯისტიკს სერვისი" ს/ნ (405124477), რომლის წესდებით განსაზღვრული 100 ლარის ოდენობის კაპიტალი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მომენტისთვის არ იყო შევსებული შპს "G&A GROUP"-ის მიერ.

3.6. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.	01 იანვარი, 2017წ.
რეზიდენტი კომპანიები	534 187	284 750	392 643
არარეზიდენტი კომპანიები	3 344 356	3 517 168	232 210
	3 878 543	3 801 918	624 853

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.	01 იანვარი, 2017წ.
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ ასახული გადასახადები	-	37 727	-
ადიარებული, მაგრამ დასადეკლარირებული გადასახადები	-	521	11843
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	685238	545456	572010
	685238	583704	583853

3.8. მოკლევადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.	01 იანვარი, 2017წ.
ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	921 620	892 559	112 235
ვალდებულება კომპანიებთან (ძირი)	-	-	1 491 022
ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ (ძირი)	-	162 013	-
ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (პროცენტი)	4 062	3 934	-
ვალდებულება კომპანიებთან (პროცენტი)	3 879 307	2 600 825	-
ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ (პროცენტი)	1 415	1 382	378
	4 806 404	3 660 713	1 603 635

3.9. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.	01 იანვარი, 2017წ.
მიღებული ავანსები	106 466	4 264	1 603
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	339	910	119
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	36406	27400	500
	143211	32574	2222

3.10 გრძელვადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.	01 იანვარი, 2017წ.
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (მირი)	2 506 235	3 209 845	4 188 815
გრძელვადიანი ვალდებულება კომპანიებთან (მირი)	15 714 331	14 257 004	-
გრძელვადიანი ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ (მირი)	133 830	-	14 557 302
	18 354 396	17 466 849	18 746 117

3.11. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები:

შპს „G&A GROUP“-ის გრძელვადიანი ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება, კაპიტალის შემცირების გზით დამუშნებელთა მიმართ წარმოშობილი ვალდებულებებისგან.

3.12. საწესდებო კაპიტალი:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს "G&A GROUP" - ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 100 000 აშშ დოლარს (სალარე ეკვივალენტი - 3 479 910 ლარი).

3.13. ამონაგები რეალიზაციიდან და მომსახურებიდან:

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.
გაყიდვები და მომსახურება რეზიდენტ პირებზე	28 350 599	34 950 387
გაყიდვები ექსპორტზე	162 808	192 758
	28 513 407	35 143 145

3.14. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება:

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.
შესყიდვები	20 627 456	32 896 003
ცვლილება საწყის და საბოლოო ნაშტებს შორის	2 624 721	(2823 987)
	23 252 177	30 072 016

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.
სავალდებულო საპენსიო ხარჯი	17 443	-
საკანცელარიო ხარჯი	16 459	11 606
საბანკო ხარჯები	75 947	120 351
დაზღვევის ხარჯები	76 901	48 985
მივლინების ხარჯები	28 200	24 971
წარმომადგენლობითი ხარჯები	32 789	8 920
საქველმოქმედო ხარჯები	453	385
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1 793 530	2 515 635
	2 041 722	2 730 853

3.16. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	1 471 432	1 217 218
უარყოფითი საკუროსო სხვაობები	651 669	-
სხვა ფინანსური ხარჯი	136	-
	2 123 237	1 217 218

3.17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი:

	31 დეკემბერი, 2018წ.	31 დეკემბერი, 2017წ.
საპროცენტო შემოსავალი ფინანსური ინსტიტუტებისაგან	9786	
დადებითი საკუროსო სხვაობები	170735	459942
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	143680	449078
	324 201	909 020

3.18. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასებითი ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს

მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

3.19. რისკების მართვა მმართველობითი სისტემა

კომპანიას რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიას მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიას რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია,

რა წარმოადგენს კომპანიასთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეებიც არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიას ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიას მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის

ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიას ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

დირექტორი

ფინ. დეპარტამენტის უფროსი

ვლადიმერ უგულავა

დარეჯან სინჯიკაშვილი


ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიას ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

დირექტორი

ფინ. დეპარტამენტის უფროსი



ვლადიმერ უგულავა

დარეჯან სინჯიკაშვილი



შპს „G&A GROUP“-ის 2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

- შპს „G&A GROUP“ (ს/ნ 404943683) დაარსდა 2012 წლის 4 მაისს. კომპანია რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. 2018 წლის 12 დეკემბრამდე დამფუძნებლები იყვნენ: 50%-წილით შპს „სოუდ ვესტ ჯუნიორი“ (ს/ნ 405190895), და ასევე 50%-ს წილით არაბთა გაერთიანებული საამიროების რეზიდენტი კომპანია IC20120464 „ბაკა ლიმიტედ“ („Baka Limited“). 2018 წლის 12 დეკემბრიდან 100% წილის მ მფლობელი არის ტურგაი ალაკბაროვი, აზერბაიჯანის მოქალაქე.

- 2012 წელს მიღებული წესდებით, კომპანიის გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 4 000 000 ლარს. 2013 წლის 19 აპრილს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 3 400 000 დოლარამდე. 2016 წლის 3 იანვარს კი საწესდებო კაპიტალი შემცირდა 2 100 000 დოლარამდე. დღეისათვის შპს „G&A GROUP“-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 100 000 აშშ დოლარს (სალარე ეკვივალენტი - 3 479 910 ლარი) .

- კომპანიას მართავს დირექტორი, რომელიც დანიშნულია დამფუძნებელთა კრების მიერ 2018 წლის 23 მაისს (პარტნიორთა კრების ოქმი N08). მას ჰყავს 3 მოადგილე და 16 მიმართულების მენეჯერი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კომპანიის მართვაში და ჩართული არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კომპანიაში არის 7 მუდმივმოქმედი მმართველობითი საბჭო: „G&A GROUP“-ის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა საბჭო, წარმოების საბჭო, ლოჯისტიკის საბჭო, კომერციული საბჭო, გაყიდვების საბჭო, პრობლემური დებიტორების საბჭო, ფინანსური საბჭო. აღნიშნული მმართველობითი საბჭოები იღებენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან, გრძელ და საშუალო ვადიან გადაწყვეტილებებს მიმართულებების შესაბამისად.

- შპს „G&A GROUP“-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის გაყინული ხორცპროდუქტებისა და თევზის იმპორტი და გაყინული ნახევარფაბრიკატების წარმოება.

- შპს „G&A GROUP“-ს ჰყავს ერთი შვილობილი კომპანია შპს „ჯი ენდ ეი ლოჯისტიკს სერვის“ (ს/კ 405124477), რომლიც ეწეოდა ლოჯისტიკურ საქმიანობას. 2018 წელს ისევე როგორც წინა წელს გაწეული საქმიანობის მოცულობა იყო მცირე მოცულობის და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ამასთან ეს მიმართულება ჩაითვალა არარენტაბელურად. პარტნიორის გადაწყვეტილებით (02.05.2019 წლის) განსაზღვრულია გადახდისუუნარიანობის (გაკოტრების) საქმის წარმოების დაწყება.

- შპს „G&A GROUP“-ს გააჩნია წარმომადგენლობა ფოთში, თელავსა და ქუთაისში. ასევე გეგმავს გახსნას ახალი წარმომადგენლობა სხვა რეგიონში. კომპანიის მიზანს წარმოადგენს პროდუქციის გავრცელება ახალ რეგიონებში.

- შპს „G&A GROUP“-ის კვების პროდუქტების მწარმოებელი განყოფილება დაარსდა საქართველოს მთავრობის ინიციატივით განხორციელებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში და ამოქმედდა 2016 წელს.

- შპს „G&A GROUP“-ის საწარმოს მისია არის - დაუზოგოს დიასახლისებს დრო ისე, რომ ოჯახის წევრებს არ მოაკლდეთ ხარისხიანი და გემრიელი კერძები. საწარმოს მიზანია: ყველა სამზარეულოში დავიმკვიდროთ ჩვენი ადგილი.

- კომპანიის სავაჭრო ნიშანი (ბრენდი) „რერა“ დარეგისტრებულია „საქპატენტში“ და ფლობს ISO სერთიფიკატს HACCP-ის შესაბამისად ISO 22000:2005, ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატს ISO 9001:2015.

- კომპანიის სავაჭრო ნიშანი (ბრენდი) „ნობათი“ დარეგისტრებულია „საქპატენტში“.

- შპს „G&A GROUP“-ს გააჩნია სამაცივრე საწყობები, სადაც განთავსებულია

ორი საბაჟო საწყობი ლიცენზიის ნომრებით: GEO90 WH404943683E და GEO56 WHS404943683B.

- კომპანიაში დიდი ყურადღება ეთმობა კომერციული უსაფრთხოებას, კიბერ-უსაფრთხოებას, კვების პროდუქტების წარმოების და ჰიგიენის ნორმების დაცვას. უსაფრთხოების ნორმების დაცვის მაღალი ხარისხი მეტყველებს მართვის მაღალ სტანდარტებზე.

- კომპანიაში დაზღვეულია როგორც უძრავი ქონება, ასევე საწყობში არსებული მარაგები და ავტომანქანები. უსაფრთხოების ნორმები სრულად არის დაცული. კომპანიას ჰყავს 24 საათიანი დაცვა, რომელიც აკონტროლებს შიდა და გარე პერიმეტრს სამეთვალყურეო კამერების მეშვეობით. შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით (ცეცხლმაქრები). თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია და ხანძრის დროს ევაკუაციის გეგმა. ორ თვეში ერთხელ ტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟი.

- კომპანიაში 2017 წელს დასაქმებული იყო 220 თანამშრომელი, ხოლო 2018 წელს - 215 თანამშრომელი.

- კომპანიის საკადრო პოლიტიკა დამყარებულია თანამშრომელთა პროფესიონალიზმზე და დასახული მიზნების მიღწევის მაჩვენებლებზე. შესაბამისად წახალისების სისტემებიც მორგებულია ამ პრინციპზე.

- კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევას და კვებას. ასევე, წარჩინებულ თანამშრომლებს უფინანსდებათ სწავლება და ტრენინგი.

- კომპანია უახლოეს მომავალში გეგმავს გაფართოვებას, წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის გადახალისებას და გაზრდას. პროდუქციის წარმოებაში გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი, ნატურალური პროდუქტები ყოველგვარი დანამატების გარეშე. კომპანია იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში მისი ნაწარმი გახდება პრემიალური, მოწინავე ბრენდი ნახევარფაბრიკატების წარმოებაში, ხოლო გაყინული ხორცპროდუქტების დისტრიბუცია დაიკავებს ლიდერ პოზიციებს საქართველოს მასშტაბით. ასევე იგეგმება პროდუქციის

ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში.

- სავალუტო რისკები, ლარის კურსის ცვალებადობიდან გამომდინარე, თან ახლავს ჩვენს საიმპორტო საქმიანობას, რომლის დაბალანსებასაც ვფიქრობთ ბანკებთან მოლაპარაკებით, მათი პროდუქტების ჰეჯირების, ფორვარდების და ლარის საკრედიტო რესურსების გამოყენებით.

- ფინანსური რისკების მენეჯმენტისათვის 2018 წლიდან შექმნილია ფინანსების მმართველობითი საბჭო, რომელიც განსაზღვრავს გრძელ და საშუალო ვადიან ფინანსურ პოლიტიკას.

მართვის პრაქტიკის მიმოხილვა:

კომპანიის მიზანს წარმოადგენს მართვის სისტემის სრულყოფა და სისტემატიზაცია აგრეთვე მისი ჰარმონიზაცია და შესაბამისობა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან და პრინციპებთან. აღნიშნული დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, პარტიორთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და სხვა საკითხებთან. კომპანია აცხადებს მზაობას ყოველივე ზემოაღნიშნული განახორციელოს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- თანასწორობა - თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა პარტნიორის თანაბარ შესაძლებლობას დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში იარსებებს ქმედითი მექანიზმი. გაუგებრობის გამოსარიცხად.

- კომპანიის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა - პარტიორისათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პარტიორთა კრებებში, დროულად მიიღონ ინფორმაცია საერთო კრების გამართვის შესახებ, ასევე საერთო კრებაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, წერილობით წარდაგინონ თავიანთი პოზიცია, ამასთანავე დროულად მიეწოდოთ ინფორმაცია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, ასევე მიიღონ ნებისმიერ სხვა ინფორმაცია დროულად, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.

- გამჭვირვალობა - უზრუნველყოფილია კომპანიის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ფინანსური და ეკონომიკური, საკუთრებისა და მართვის შესახებ, ასევე ბაზარზე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გახსნის მექანიზმის ეფექტური არსებობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა, რათა პარნიორებსა და პოტენციური

ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

- თანამშრომელთა ჩართულობა - უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების მით უფრო კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა კომპანიის საქმიანობაში, კომპანიის აქტივების ზრდისათვის, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.
- თანამშრომლების განათლების ხარისხი, გამოცდილება და კომპეტენტურობა. სწორედ ამიტომ კომპანია მუდმივად ცდილობს, ხელი შეუწყოს დასაქმებულების პროფესიონალურ განვითარებას და გამოცდილი კადრების მოზიდვას.

შპს „G&A GROUP“-ის
დირექტორი

ვლადიმერ უგულავა

2019 წლის 5 დეკემბერი

ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

- თანამშრომელთა ჩართულობა - უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების მით უფრო კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა კომპანიის საქმიანობაში, კომპანიის აქტივების ზრდისათვის, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

- თანამშრომლების განათლების ხარისხი, გამოცდილება და კომპეტენტურობა. სწორედ ამიტომ კომპანია მუდმივად ცდილობს, ხელი შეუწყოს დასაქმებულების პროფესიონალურ განვითარებას და გამოცდილი კადრების მოზიდვას.

შპს „G&A GROUP“-ის

დირექტორი

ვლადიმერ უგულავა

2019 წლის 5 დეკემბერი

